

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

542/3



ღელა

„რეკლამა, იეროვო ძველზე-
ოვსხე, იყოთ შინაო,
და შუბ, ქართულო, სწავლით
სამსოგლო ეახსნეთი“

№ 8 საბავშვო ჟურნალის გამომცემლობის და
3. ი. ღვინის სახელობის ნორა პიონერეთა
ორგანიზაციის დასაბავშვო საბავშვო ჟურნალი

აპრილი
1958



აი, ასეთი არის ოქტომბრელთა ვარსკვლავი, რომელიც საზეიმო შეკრებაზე გადმოგეცემთ. ამ ვარსკვლავის შუაგულში ვ. ი. ლენინის ბავშვობის პორტრეტი. თქვენ უთუოდ ბევრჯერ გინახავთ და გიყვართ ეს სურათი.

წითელი ვარსკვლავი უკეთიათ ქედზე იმ მეომრებს, ვინც თქვენს ბედნიერ ბავშვობას იცავს. ოქროსფერი ღამაში ვარსკვლავი ბრწყინავს ჩვენი სამშობლოს დროშაზე, ჩვენს თვითმფრინავებს, ლაღის ვარსკვლავები ელვარებენ ერემლის კოშკებს. ღირსეულად ატარეთ თქვენი სამკერდე ნიშანი!

მ. ნახშირპილი

ნახატები ალ. ზიგორაშვილისა

ბორის ძნელაძე

ოქტომბრელებო! დღეს თქვენ მკერდზე წითელი ვარსკვლავი, ლენინის ვარსკვლავი გიბნევიათ. შემდეგ პიონერები ვახდებით და ალისფერ ყელსახვევს გაცივებთ. გავა წლები, კომკავშირელთა რიგებშიც შეხვალთ და კომკავშირელის ბილეთს გულისჯიბით ამაყად ატარებთ. დიას, ამაყად! რადგან კომკავშირელის სახელი საამაყოა. ეს ნიშნავს პატიოსან,

ბეჯითსა და თავისი ქვეყნის ერთგულ ახალგაზრდას.

ერთ-ერთი პირველი ქართველი კომკავშირელი იყო ბორის ძნელაძე. ის თავდადებით იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, მან ბევრი რამ გააკეთა ქართველი ახალგაზრდობის კომკავშირში გასაერთიანებლად.

აი, რამდენიმე ფიზიკური მისი გმირული ცხოვრებიდან:

ბორის ძნელაძეს დიდხანს დასდევდნენ დასაქურად. იცოდნენ, რომ ის ქალაქებსა და სოფლებში დადიოდა და ახალგაზრდობას საბრძოლველად მოუწოდებდა. მაგრამ მისი დაჭერა არც ისე იოლი იყო. ბორის ბევრი მეგობარი ჰყავდა, რომლებიც წინდაწინვე აფრთხი-

ლებდნენ მას, და თვითონაც გაშვებოდა და მოხერხება არასოდეს ღალატობდა.

აი, ერთხელ ახალგაზრდა კომკავშირელებს სოფელში საიდუმლო შეკრება ჰქონდათ. იმსჯელებს, ილაპარაკებს. შეადგინეს მომავალი ბრძოლის გეგმა და სახლში წასვლა დააპირეს. უცებ გუშა-

გად დაყენებული ახალგაზრდა მოიქრა და აცნობა—გვარდიელებმა ალყა შემოგვარტყეს და საცაა სახლშიც შემოიკრებიანო.

ყველა აჩოქოლდა.

— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, — წამოიძახა ბორისმა, — თქვენ წადით, მე აქ დავრჩები.

— რას ამბობ, ბორის? რომ მოგისწრონ, ხომ დაგიკვრენ!

— ვერ დამიკვრენ! აბა, ლაპარაკის დრო არ არის, ახლავე წადით.

კოძკაეშირლები მიხვდნენ, რომ ბორისმა რაღაც მოიფიქრა, და საჩქაროდ ოთახი დატოვეს.

ბორისი მარტო დარჩა. გამოსწია უჯრა, გადაარჩია ქაღალდები, ნაწილი უბეში ჩაიტენა, ნაწილი ხელში დაიჭირა. შემდეგ მოიხსნა სათვალეები, ჯიბეში ჩაიღო, რეველვერი მოიმარჯვა და ისეთი განრისხებული სახე მიიღო, თითქოს ეს-ეს არის ოთახში შემოვიდა და ვიღაცას ეძებო.

იმავე წუთს გაიღო კარი და ოთახში გვარდიელები შემოიკრნენ.


— სადა ხართ აქამდე? — აღშფოთებით დაუყვირა ოფიცერს ბორისმა. — თქვენს მოსვლამდე მოუსწრიათ უკვე საბუთების გადამაღვა და გაპარვა. აი, ესაა დარჩენილი მხოლოდ... — და ხელში ჩაბლუჯული ქაღალდები აჩვენა.

ოფიცერი დაიბნა:

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— მე? მე თბილისიდან გამომგზავნეს საგანგებოდ. პირდაპირ სადგურიდან მოვედი აქ. თქვენი იმედი როგორ გვკონდეს?! ახლავე გაჩხრიკეთ აქაურობა, ამ ქაღალდებს კი მე წავიღებ და უფროსთან დავიხვდებით.

ბორისი საჩქაროდ გავიდა ოთახიდან. გვარდიელებმა გაჩხრიკეს სახლი, მაგრამ ვერაფერი იპოვეს. როცა უფროსთან მივიდნენ და „თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული კაცი“ ვერ ნახეს, მაშინ კი მიხვდნენ, თუ როგორ გააბრიყვა ისინი ბორის ძნელაძემ.



საბჭოთა რუსეთში დიდი ბრძოლები იყო გაჩაღებული—მუშები და გლეხები თავგამებულად ებრძოდნენ შემოსეულ თეთრგვარდიელებს და კომკავშირელებს მხარში ედგნენ უფროს ამხანაგებს. გაიგეს ქართველმა კომკავშირელებმა, რომ ამა და ამ სადგურთან, ამა და ამ საათზე ჩაივლის საბარგო მატარებელი, რომელსაც [] რუსეთის მტრებისათვის იარაღი მიაქვსო.

ბორის ძნელაძე სასწრაფოდ იმ სო-

რადებული ჯარისკაცი გამოჩნდა. უკან სადგურის დარაჯი მოჰყვებოდათ. ახლარალა ჰქნან კომკავშირელებმა? ბუჩქებიდან რომ გამოხტნენ, ვაითუ ჯარისკაცებმა დაინახონ და სროლა აუტეხონ?

— მოიცათ, ბიჭებო, ახლავე. გავაქცევ მაგათ,—თქვა ბორისმა და ბუჩქებიდან გამოვარდა.

— შესდექით!—დაუძახა მან ჯარისკაცებს.

ჯარისკაცები შედგნენ.



ფელში გაჩნდა. მოელაპარაკა რამდენიმე კომკავშირელს და გადაწყვიტეს ის მატარებელი აეფეთქებინათ.

ბნელი ღამე იყო. ჩასაფრებული ბორის ძნელაძე და მისი ამხანაგები ყუმბარებით ხელში უცდიან, როდის გამოივლის მატარებელი. გული გამაღებით უცემთ. მოასწრებენ კი ყუმბარების სროლას, ვიდრე მატარებელი ჩაივლის? ან იქნებ შეიცვალა რაიმე და მატარებელმა აღარ გამოიაროს?

ჩუ, რაღაც ხმაური ისმის! სიბნელეში ფარანი აკიაფდა. მის შუქზე ორი შეია-

— აქ რა გინდათ? აკი გიბრძანეს, სადგურთან უყარაუღეთო. ახლავე გასწით აქედან, თორემ გენერალს შეეატყობინებ, რომ თქვენ მის ბრძანებას არ ასრულებთ.

შემკრთალი ჯარისკაცები მყისვე უკან გაბრუნდნენ.

აი, უკვე მოახლოვდა მატარებლის გუგუნი.

— აბა, ბიჭებო, გამოდით,—უთხრა ბორისმა ამხანაგებს,—მოემზადეთ. მე წინა ვაგონებს ვესვრი, ერთმა შუა ვაგონებს ესროლო, მენ კი,—მიუბრუნდა



იგი მეორეს,—ბოლო ვაგონებს სტყორ-
ცნე!

— ჩქ-ჩქ-ჩქ!—მოიჩქარის მატარებე-
ლი. უცებ იელვა აფეთქების ალმა და
ლამის მყურდროება გრგვინვის ხმამ და-
რღვია. ცეცხლში გაფხვია ვაგონები. სა-
ღურის მხრიდან სროლა და სტეენა მოი-
სმა. ჯარისკაცებმა აქეთ მოაშურეს, მა-
გრამ უკვე აღარაინ დახვდათ... ბორისმა
და მისმა ამხანაგებმა თავს უშველეს.
ასე იბრძოდნენ გმირი კომკავშირ-

ლები ბორის ძნელადის მეთაურობით.
როდესაც 1921 წელს საქართველოში
საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბო-
რის ძნელადეც ჩაება ახალი ცხოვრე-
ბის მშენებლობაში. მაგრამ მძიმე ავად-
მყოფობის გამო იგი სრულიად ახალ-
გაზრდა გარდაიცვალა.

ხალხი არასოდეს დაივიწყებს თავის
გმირ შვილს. ამიტომ დღას დღეს ბორის
ძნელადის ძეგლი თბილისში, კომუნარე-
ბის ბაღში.



საზამთრო

გია საზამთროს მიირთმევს,
თან ვკითხება ღიას:
—ზამთარშიც რატომ არა ვკაჭვს,
თუკი საზამთრო ჭჭვია?—
ღიაც საზამთროს მიირთმევს,
თან უპასუხებს გიას:
—აღმათ ზამთარშიც გვეჭვება,
რადგან საზამთროს ჭჭვია.


ქარლო კობერიძე


ყინულის უღბნოს მკვლევარები

იციო, რამდენი ზღვა და ოკეანე გად-
მოიარა იმ ტელეგრამამ, რომელიც თქვენ
ჟურნალ „დილას“ მეშვიდე ნომერში
წაიკითხეთ?! ის გულისხმიერი მოკითხვა
ანტარქტიდიდან ქართველმა მკვლევარმა
გარსევან კურდღელაიძემ გამოგიგზავნათ,
ჩვენო მკითხველებო.

ანტარქტიდა ძალიან შორს, დედამი-
წის სამხრეთ პოლუსთან მდებარეობს,
ზამთარ-ზაფხულ ყინულითაა დაფარული
და მუდამ ძლიერი ქარი ბობოქრობს.
მეცნიერების გამოანგარიშებით, ეს ყინუ-
ლები რომ დადნეს, დედამიწის უდიდეს
ნაწილს წყალი დაჰფარავდა. იქ არ ხა-
რობს მცენარე და არ ცხოვრობს ადა-
მიანი. ან როგორ გასძლებდა ყინულე-
ბის სამეფოში! ამიტომაც ყველაზე ნაკ-
ლებ არის ის მხარე შესწავლილი.

და აი, ანტარქტიდის შესასწავლად
შორეულ გზას გაუდგა ორი ვეებერ-
თელა საბჭოთა გემი „ობი“ და „ლენა“.
საბჭოთა მეცნიერებმა გადაწყვიტეს გა-
მოეკვლიათ ეს უცნობი ქვეყანა, რომელ-
საც სამართლიანად უწოდებენ „მსოფ-
ლიო მაკივარს“. ანტარქტიკაში ნახევარ-
ი წელიწადი ზაფხულია და ნახევარი
ზამთარი. როდესაც ჩვენთან ზამთარია,
იქ ზაფხულია, თუმცა მაშინაც დიდი
სიცივეები ღვას. ზამთრობით დღისითაც
ბნელა, ზაფხულობით კი ღამეც ნათე-
ლია. იქაურ ზღვებში. დატურავს უზარ-
მაზარი ყინულის მთები—აისბერგები.
მათი სიგრძე ხშირად 100—150 კილო-
მეტრს აღწევს და ზედ თავისუფლად
მოთავსდება ისეთი დიდი ქალაქები
როგორცაა პარიზი ან მოსკოვი.





დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ საბ-
ქოთა გემები მიადგა ანტარქტიდას. თან
ჩაიტანეს თვითმფრინავები, ტრაქტო-
რები, ყველგანმავალი ავტომანქანები,
ასაწყოები სახლები, ელექტროსადგურები.
იქ ახალი ქალაქი უნდა აეშენებინათ და
შიგ ანტარქტიდის მკვლევარებს უნდა
ეცხოვრათ. მაგრამ ჯერ საჭირო იყო
ქალაქისათვის კარგი ადგილი ამოერ-
ჩიათ. ჰოდა, აგუგუნდნენ თვითმფრინავე-
ბი, გადაუარეს ყინულით დაფარულ ვე-
ლებს, გორაკებს და შესაფერი ადგილი
აღმოაჩინეს.

გაჩაღდა მუშაობა. ნაპირის გასწვრივ
გაიჭიმა ქუჩა—ლენინის „პროსპექტი“,
აქეთ-იქით ჩამწყრივდა სახლები, დაიდგა
ელექტროსადგურები... ანტარქტიდაში
ამ პირველ საბჭოთა ქალაქს „მირნი“
(მშვიდობის ქალაქი) ეწოდა.

დაე, იორიალოს და ითარეშოს ახლა
ქარიშხალმა. აღამიანებს ის ვერაფერს
დააკლებს. მათი ბინები მყუდროა და
თბილი. ქარი კი ისეთი ძლიერი იცის
აქ, რომ ორას კილოგრამიან ტვირთს
აიტაცებს და რამდენიმე ათეულ მეტრზე
ისვრის. ერთხელ დაქანგული ჯაჭვი ყი-
წულზე იმდენი ათრია, რომ ორ დღეში
ახალივით გააღაპლაპა. არც ამ ყინულებ-
ში სიარულისა ეშინიათ მკვლევარებს.
სადაც ტრაქტორი ვერ გაივლის, იქ ყველ-
განმავალი მანქანით წავლენ. თუ ესეც გა-
ჭირდა, თვითმფრინავიდან დაათვალიე-
რებენ და შვისწავლიან უცხო ადგი-
ლებს.

„მირნის“ აშენების შემდეგ საბჭოთა
მკვლევარებმა გადაწყვიტეს უფრო მო-
შორებით, შიგ ანტარქტიდაში დაეარსე-
ბინათ ახალი სადგურები.

ლაიძრა ყველგანმავალი მანქანები და
მარხილებიანი ტრაქტორები ყინულის
უღაბნოსაკენ. არა ერთხელ მოუხდათ
გზაში გაჩერება, ვიდრე თვითმფრინავე-
ბი „მირნიდან“ მანქანებისათვის საწვავ მა-
სალას მოზიდავდნენ. თერმომეტრი 69
გრადუსს ყინვას უჩვენებდა. ბობოქრობ-

და ქარი. ადამიანებს უჭირდათ ფეხზე გაჩერება და სუნთქვა. ქარი აქრობდა და ანელებდა ცეცხლს და საკმელი აღარ იხარშებოდა. ერთხელ ოთხი საათი ხარშეს ქათამი და მაინც არ მოიხარშა. იძულებულნი იყვნენ ისევ ნახევრად უში ეჭამათ.

იქნებ გიკვიროთ, საიდან მოხვდა ანტარქტიდაში ქათამი? იქ ხომ ზღვის ცხოველებისა და პინგვინების მეტს ადამიანი ვერაფერს ნახავს. არა, ქათამიც ჩვენი ქვეყნიდან გაამგზავრეს გემით. ექსპედიციის წევრებს განსაკუთრებული კვება სჭირდებოდათ. რადგან ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამიტომ რას არ ნახავთ მათ საკუჭნაოში! ათასნაირ კონსერვებს. ტკბილეულს. კანფეტებს და, წარმოიდგინეთ. ახალ ხილსაც კი. ყველაფერი მშვენივრად ინახება. ამ ყინულის ქვეყანაზე უკეთეს მაცივარს განა სად ნახავენ!

ხანდახან „მირნიდან“ მოფრენილი თბილამურებიანი თვითმფრინავები ვეღარ სრიალებდნენ ქვიშასავით მშრალ თოვლზე. მაშინ თბილამურების წინ ბლომად დაფენდნენ ხოლმე ძენძს, ბენზინს გადაასხამდნენ და ცეცხლს მოუკიდებდნენ. როცა თოვლი გადნებოდა, სიცივე მას მყისვე სრიალა ყინულად გადააქცევდა და თვითმფრინავებსა თუ ვერტმფრენებს უკვე შეეძლოთ აფრენა.

მაგრამ საბჭოთა მკვლევარებმა მაინც დასძლიეს ანტარქტიდის მკაცრი ბუნება და სხვა ახალი სადავურები — „კოსმომოლ-

სკაია“, „პიონერსკაია“, „ოაზისი“ და „ვოსტოკი“ ააშენეს.

თავდადებით მუშაობენ ჩვენი გმირი მკვლევარები. სწავლობენ ანტარქტიდის ჰავას, ზღვებს, ბუნებრივ სიმდიდრეებს, აღმოაჩინეს ბევრი ახალი კუნძული.

ისინი როდი არიან მოწყვეტილი თავიანი სამშობლოს. რადიოს საშუალებით იგებენ, რაც ჩვენს დიდ ქვეყანაში ხდება და რადიოთივე გვაცნობებენ ხოლმე ყოველ ახალ მეცნიერულ აღმოჩენას. მაგალითად, ახლახან მოვიდა ცნობა, რომ ანტარქტიდა ერთი მთლიანი ხმელეთი კი არ არის, როგორც აქამდე ვგონათ, არამედ ყინულით დაფარული პატარ-პატარა კუნძულები ყოფილა.

ქართველი მკვლევარი გარსევან კურდღელაიძე ერთი წელია ანტარქტიკაში მუშაობს. ის თუში მწყემსი იყო. ვინ იცის, იქნება კავკასიონის მაღალმა, თოვლიანმა მწვერვალებმა გაუღვიძა მას სურვილი, ენახა და გამოეკვლია სხვა უცხო ქვეყნები. მან დატოვა თუშეთი და თბილისში ჩამოვიდა. აქ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. და როცა გაიგო, საბჭოთა ექსპედიცია სამხრეთ პოლუსზე აპირებს გამგზავრებასო, იმ დღიდან მოიწადინა თვითონაც წასულიყო და თავისი თვალით ენახა ეს გამოუქვლევეი მხარე.

ახლა ისიც თავის გმირ ამხანაგებთან ერთად იკვლევს და იძიებს ანტარქტიდის ბუნებას.

მაშ, ჩვენც ვუსურვოთ მათ გამარჯვება!





ღიასახლისი

ოთახი თუ განხვეტა
წაწმინდა ლაღლიმ,
ჩემი წინდა უთუოდ
ნაგვის ეუთში არის!..



თეჩი

საკერავ მანქანასთან
დუღასავით მეც ვზივარ,
ეველა მიცნობს ესოში,
ოჯინების თერძი ვარ!



ხარაზი

დედამ ვურსად მიმოვან
ჩემი სარგო ჩუსტები,
სარაზობა დავიწყე,
დამკვიფრებნ მუშტრები!

მელოლი

განა ჩემი ბრაღია,
კარები რომ ვამტყდარა?
მანქანა მაქვს დიდი და
ოთახი კი წატარა...



ოთარ შალაგვარიძე

ჩიბუსი

თინა ქარსნის მიღმა
გაბაკვირვავ შეტად:
— ამოდენა ჩიბუსს
ვინ აბოლებს ნეტავ?



მარჯვე

ვერ უეუერებთ მზისს?
წამოდგარა ადრე;
თვითონ აუთოვებს
თავის წითელ ბაბთებს.



ნიიგომა

სეკვავ რატომ ატირდა
თითისტოლა დალი?
საწახნი რომ წაისვა,
არ დასუჭა თვალი.



პარდი

— ვარდა, ისე კარგი ხარ,
ქებით არ დავიღლები;
რომ არ იხსვლიტებოდე,
უფრო კარგი იქნები.

ღეზი და ჩაღო

ღეზი და ჩაღო ერთ ეზოში ცხოვრობდნენ. ღეზი თუ სადმე ბრკვევიდა კენჭს ან საყენეს იპოვიდა, მეზობლის ქათმებსაც უთუოდ გაუმასპინძლდებოდა.

ასეთივე ყოჩალი იყო ყურგებპარტყუნა ჩაღო. ეზოში თუ ეზოს გარეთაც უცხოს არავის ვააქაჟენებდა.

თითქოს ღეზი და ჩაღო მეგობრულად უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არა, ღეზი ჩაღოს ვერ ეგუებოდა.

დილით, როგორც კი საქათმის კარი ვაიღებოდა, ღეზი ქანდარიდან გადმოხტებოდა და თავის ამაღლს ეზოში გაიპატიჟებდა. ჩაღოც იმ წუთშივე ხუხულიდან წქმუტუნით გამოხტებოდა და ქათმების გროვას შეერეოდა. ეს იყო ჩაღოს მისალმება, მაგრამ შეშინებული ქათმები ქოთქოთით და კრიახით აქეთ-იქით დიფანტებოდნენ. გაგულისებული ღეზიც ჩაღოს მიაფრინდებოდა, ფრთების ტყლაშუნს დაიწყებდა და, თუ ბაღის მოკორტნას ვერ მოახერხებდა, ყურში მანც ჩაპყელებდა.

ერთ დღეს ღობის გაყოლებაზე ნაყარ მიწას ქათმები შესეოდნენ, გამალეებით



ქეჟავდნენ და ღეზოს ყურადღებას არ აქცევდნენ. გაჯავრებული ღეზი ღობეზე შეფრინდა და მეზობლის ქათმებთან გადაეშვა. ისინი კუტყუტით შეეგებნენ. ღეზიმ თავისი ეზოს ქათმებისაკენ ამაყად გადაიხედა: „თქვენ რომ, არ მათასებთ, აი, ამათ როგორი შეხვედრა მომიწყესო!“

სწორედ ამ დროს, სად იყო და სად არა, ვეგებრთელა ქორი ყველაზე ლამაზ ქოჩორას დააცხრა და ის იყო მოტაცებას აპირებდა, რომ ჩაღო გამოქანდა, ეცა ქორს და ბასრი კბილები შიგ ზურგში გაუყარა. ქათმების კრიახზე ღეზიც თავის ეზოში გადაეშვა, ჩაღოს გარშემო ურბენდა და კაუჭიანი ნისკარტით ქორს ბუმბულს ავლევდა. ქოჩორამ კი თავს უშველა და ბუჩქებში მიიმაღა.

ჩაღომ მომაკვდავ ქორს თავი დაანება და მხიარული წქმუტუნით ღეზის ფეხებში გაუფარდა. ღეზი ჩაღოს აღარ გასჯავრებია, პირიქით, დამფრთხალი ქათმები შემოიკრიბა და შერიგების ნიშნად ჩაღო თეთრ კენჭზე მიიპატიჟა.

ასე დამეგობრდნენ ღეზი და ჩაღო.



მაია და ჭიამაია

მაიას წითელი კაბა ეცვა, წინწკლებიანი. მღრზე ციციქნა მწერი ნახა, ისიც წითელი და დაწინწკლული.

— ეფი, ეფი, ნახე, ჩემისთანა კაბა აცვია! — ასძახა მაიამ ეფას.

— ეგ, შვილო, ჭიამაიაა! — მიუგო ეფამ.

— შენც მაია, მეც მაია, მოდი, ერთად ვითამაშოთ! — უთხრა გოგონამ ჭიამაიას.

და დაიწყეს თამაში. მაია ბაღახების ქოხებს აგებდა, ჭიამაიაც ეხმარებოდა. ღეროდან ღეროზე დაცოცავდა და ურჩევდა ბაღახ-ყვავილებს. მშვენიერი ოდა ააგეს, მორთეს დიდებულად, მოიღვინეს კიდეც.

ამასობაში დალამდა. გოგონა მაია შინ წაიყვანეს, წითელწინწკლება კაბა გახადეს და დაძინეს, ჭიამაიას კი კაბა არ გაუხდია, კაბიანად ჩაეძინა მრავალძარღვას ფოთოლზე.



ანცალა-ბანცალა

ნანა შვარიშვილი

იყო და არა იყო რა...

ბაღში ჰყვოდნენ ვარდები.

გოგონას გულის საღებნად

სულ იცინოდნენ კარგები.

თურმე ერთ დილით შეწუხდნენ

და შეეხუთათ გულები.

პაპანაქება სიციხეში

ნამი შეაშრათ სრულებით.

— იქნებ გამოჩნდეს თამრიკო! —

წყაროს თვალივით ელიან.

ბილიკს გაჰყურებს მალი-მალ

თეთრი ყვავილის ღერია.

აგერ, გამოჩნდა სარწყავით.

მორბის ანცალა-ბანცალა,

ერთი პატარა სარწყავი

უკვე მეთედ დასცალა.

— შენ გაიხარე, პატარავ, —

თეთრმა ვარდებმა ვასძახეს, —

— შენ გაიზარდე, შენაო, —

სუსტი კოკორი თვალს ახელს.

სიოც მოვიდა ველიდან,

ჯეჯილში დამძალაო;

და ვაშლის ხემაც შეაქო:

— ყოჩად, პატარა ქალო!

ლოყაწითელი ვაშლები

გადმოაყარა გოგონას.

ერთი ბურთივით თამაშობს.

ბზრიალ-ტრიალით მოგორავს.

«წითელი ვაშლი

დაგორდა.

თამრიკოს ბაღში

ჩაგორდა.»





სახელოვანი იხვის ჭუჭული ტიპი



ა. ბლიაჩინი ბ. რაბინი

ნახატები მ. უოსნიგოლინა

ნაწევები

ერთხელ დედა იხვი ეზოში დარბოდა და ტიშს ეძებდა. არავინ იცოდა, სად იყო ტიში.

— რაღა ვქნა, — ვახვახვებდა დედა იხვი, — კიშკარს ვაღალმა მელია ვნახე. ვაითუ, ტიში მომტაცოს, ის საძაგელი კუჭული სულ მარტო დარბის.

ამ დროს სამზარეულოსთან ტიშს ბაქია ლოპი და ქათამი პენი შეხვდნენ.

— კიშკარს იქით მელია უნახავთ, — წაუჩურჩულეს მათ. — უფრთხილდი, არ შეგტამოს.

ტიში შეშინდა და აუვირა:

— დედა! სადა ხარ? შენთან მინდა!

მაგრამ დედა იხვი ეზოს მეორე ბოლოში იყო და არაფერი გაუგია.

უცებ ტიშმა სამზარეულოს კართან თავდახურულ კალათს მოჰკრა თვალი, რომელიც მზარეულ ქალს ბაზარში დაჰქონდა ხოლმე. ტიში კალათში ჩაძვრა, მოხერხებულად მოეწყო და ჩაიცინა: „ახლა კი მეძებოს მელიამო“.

მელუკებს წავუღებ. როგორ გაუხარდებთ!

მელიამ შემოიურბინა კუთხეს: ურები და ცქვეტილი აქვს, კული — გაბზეკილი. თვალებს აქეთ-იქით აცეცებს — ხომ არ მოდის მზარეული ქალი, იმ დღეს ჯაგრისი რომ მესროლაო. მაგრამ ეზოში არავინ იყო. მელია კედელ-კედელ მიეპარა კალათს,



გაუყარა სახელურში თათი და ღინჯად გაუღდა გზას. ვითომდა ბაზრიდან სანოვავე მიჰქონდა.

მელიას ეგონა, არავინ მიყურებსო, მაგრამ შეცდა. კუთხეს ამოფარებულმა შვტუხამ ყველაფერი დაინახა და ტიშის ხმაც გაიგონა, გულსაკლავად რომ აყიუნებდა კალათში: — მიშველეთ! მიშველეთ!

შვტუხა აქეთ ეცა, იქით ეცა, შემოიურბინა ეზოს, მაგრამ ვერავინ იპოვა. ბოლოს გაბურასაკენ გაქანდა. ნაპირზე დედა იხვი და კუჭულები ისხდნენ.

— ჩქარა, ჩქარა! — დაუფერია შვტუხამ, — მელიამ ტიში მოიტაცა!

— ვაი ჩემს თავს! — ატირდა დედა იხვი, —




კალათში ბნელოდა და რაღაც გემრიელი სუნი იდგა. ძირზე თურმე ძეხვის დიდი ნაჭერი იდო.

ამ დროს მელიამ მოსახვევიდან თავი გამოყო და კალათი დაინახა.

— იხვის კუჭულის სუნი მეცა, — დაუნოსა მან ჰაერი, — ჩინებულა! ამ კალათს ჩემს





ჩემო უბედურო შვილიყო, რა ვქნა? როგორ დაგეწიო?

— მელიას რას დაეწევი, — ამოიოხრა კნუტმა, — სისწრაფეში მაგას ვინ აჯობებს. ნეტავ სირბილის ნაცვლად ცურვა მაინც უოფიერყო საჭირო.

— იცი, რას ვიზამ? ფრენით დავეწევი- აბა, მიყურე! — ამაყად თქვა დედა იხვმა, თოვლივით თეთრი, დიდი ფრთები დაიქნია, აფრინდა და ტლაშ-ტლაშ-ტლაშ! — მელიას გამოუდგა.

ამასობაში მელია უკვე თავის სახლს მიუახლოვდა. ძალიან დაიღალა ამ მძიმე კალათის თრევით. შიგ ხომ ტიმის გარდა ძეხვიც იდო.

— არა უშავს რა, — ფიქრობდა მელია, — საცაა მივალ, ჩემს შვილებს დავეძახებ და კალათის შიტანაში დამეხმარებიან. ჯერჯერობით კი, მოდი, მხარზე შევიდგამ, ცოტა მაინც გამიადვილდება!

ის იყო მელიამ კალათი მხარზე შეიდგა, რომ უცებ ზემოდან ფრთების ტლაშუნი მოიხმა. დედა იხვი დაეწია მელიას, ეძგერა კალათის. გაუო სახელურში თავი, მთელი ძალღონით აიტაცა ზემოთ და...



ვაშა! დედა იხვი კალათიანად აფრინდა ჰაერში.

— დამიბრუნე! — დაუკვილა მელიამ. — კალათი ჩემია!

— მერე რა! — ჩამოჰკიყინა დედა იხვმა, — სამაგიეროდ შიგ ჩემი ვაჟიშვილია.

ამ დროს კალათში მომწუცდებულმა ტიმმა ტირილი მორთო.

— ნუ გეშინია, შვილიყო! — დამაშვიდა დედა იხვმა, — ეს მე ვარ, დედაშენი, შინ მივფრინავთ.

ტიმის დაბრუნებამ მთელი ეზო გაახარა, განსაკუთრებით კი — შავტუხა, რომ იცოდებოდა, რა სიამოვნებით შესანსლა მან ის ძეხვი!

სამ დღეს არ მოშორებია ტიმე დედა იხვს. ეშინოდა, მელიას არ შევეფეთოო. მეოთხე დღეს კი მობეზრდა დედასთან ყოფნა და სახეიროდ წასვლა გადაწყვიტა.



უცბად რას ხედავს! ეზოში მელია შემოპარულა და ფეხაკრფით მიჰყვება კედელს. აი, გადაირბინა ეზო და ძაღლის ხუბულაში

დაიმალა. ცბიერი მელია! ალბათ ძაღლი ტოპი მინდორში ნახა და იცოდა, ხუბულა ცარიელი იყო.

— აბა, ჩქარა, შავტუხა! — დაუძახა ტიმმა კნუტს, — მინდორში გავიქცეთ და ვაცი ბული მოვნახოთ.

მეგობრები მინდორისაკენ გაიქცნენ. ბული ბალახს შეექცეოდა, მის გვერდით კი ძაღლი ტოპი იწვა.

— დაგვეძახე, ბული, — სთხოვა ტიმმა, — მელია გვინდა დავიჭიროთ, ტოპის ხუბულაში შეძვრა და დედაჩემს უღარაჯებს.

— კი, მაგრამ როგორ დავიჭიროთ? — ჰკითხა ბულმა.

ტიმმა მას ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

— უოჩაღ, კარგი რამ მოგიგონია! — გაეცინა ბულს და ოთხივემ სირბილით გასწი-



ეს ფერმისაკენ. ისინი ფეხაკრფით შევი-
დნენ ეზოში. ვაცი ბული გაქანდა და რქებით
დაეჯახა ხუხულას.

ტყაპ!—გადბრუნდა ხუხულა. შიგ ჩარ-
ჩენილი მელია ჯერ ერთ კედელს მიაწუდა.
მერე მეორეს. აფართობდა, მაგრამ ვერ
იქნა და ვერ გამოძვრა. მხოლოდ წითურა
კულის ბოლო გამოშვებოდა გარეთ.

— ეგებ შენ, ხომ მოყვები მახეში?!—
დაუყვირა ტიმმა.—კიდეც აწყენინებ დედა-
ჩემს? დამაცადე, ახლავე დავუძახებ პატრონს.

მაგრამ პატრონის დამახება საჭირო აღარ
იყო. ეზოში ხმაური რომ მოესმა, თვი-
თონ გადმოიხედა ფანჯრიდან.

— ქალო, ქალო, ერთი ამას შეხედე!—
დაუძახა მან მეუღლეს.—ხუხულაში მელიაა!
ვინ დაიჭირა?

— მევე, მევე,
მევე! — დაიკივნა
ბულმა.

— კი, მაგრამ
ვინ მოიფიქრა?

— ტიმმააო,
ტიმმაო! — დაიკნა-
ვლა შვეტუხამ და
ხუხულაზე შეხტა.
დადგა მელიას
აღსასრული.



პატრონის მეუღლემ მელიასაგან ბეწვის
საყელო გაიკეთა. უკვე დღეებში საყელოს
ფანჯარაში გადმოჰკიდებდა ხოლმე გასამწე-
ურებლად, რომ ბეწვი ჩრჩილს არ დაეჭამა.

მაშინ ეზოს მობინადრენი ფანჯრის ძი-
რას მოიყრიდნენ თავს და მელიას ბეწვს
შეჰკურებდნენ.

— ახლა კი ველარ გადმოხტები. მელიავ,
მანდდან,—იძახდა დედა იხვი.

— მაშ! ველარაფერს დაგვაკლებს.—
კაკანებდა ქათამი პენი.

— ჰამ-ჰამ! ბოროტ მელიებს ადრე თუ
გვიან შავი დღე დაადგება.—ამბობდა ძალ-
ლი ტოპი.

— ხედავ, დედა, მტერი როგორ დავა-
მარცხეთ!—აწრიკინდებოდა ტიმიც.



— ეგ უველაფერი კარგია, შვილო,—
დაივხვახებდა დედა იხვი,—მაგრამ ამას იქით
მინც დამიჯერე და ნულარ იცელქებ.

— კარგი, დედილო, ვეცდები,—ამოი-
ოხრებდა ტიმი.

მართლაც ტიმი მალე იხეთი გამგონი
ვახდა, რომ ეზოში უველა კუჭკულს აჯობა.
დიდი და ჰატარა ზას აქებდა:

— ჩვენი სახელო-
ვანი იხვის კუჭკუ-
ლი! ჩვენი სახელო-
ვანი ტიმო!

შვეტუხაც იხევ
ტიმის მეგობარია და
ძველებურად მუდამ
ერთად არიან. თუ
სადმე ნახავთ ტიმს,
იცოდეთ, რომ შვე-
ტუხაც უკან მოჰყვებ-
ა.

თარგმანი მ. გორდელაძისა



აჭა სკადე!

ახეი ურმის გაცეობა მადიან აველია, თუკი მხველს იძივი. მხვეული სირბი კლორტემა, რომლებიც აველა ივრისება (ტირიფის, თულის, მანდის ან ვერვისა).

1. სიხი შიშისი მანი ჩააბერე ხაფე ფიერებ-მუ, კომპიულისკან აინბარ მანბილეს, მერე სელ ბოლოები ერთად მუკარი და ისე დაქანა, რიგირე აქ არის ჩანებნია.

2. დაქული ხაფეკილი ურმის უბე (მარი) აქნება, ირთვე მხარესე მდირივ ჩაიხე ჭაღები (იახთისი ივლი) და კომპიუ ჩვილია მანები მუხაქანა, კი დაისიხება.

ურმის უბესე დარისებე რბილა მუთილი-დაბერე, ურმის კოფისესე მუთილითვე უვარე-ინდე მადი ერთი მანი, კი ვლელი აქნება. მუ-თილის ბილი კი კინილდე კამივადება.

ზარიჩ ხაშისი

მხდალი

აეი არის ჩემი მურა, მელიდურად დადის, ფისოკ მიტომ დამდლურა, რომ ჩაარტა თათი.

მაგრამ როკა შებინდება, აეცვრება კარებს; ლამით ისე მხდალი არის, ვერ გამოლის ვარეთ.

3. ასეი ურმეს ბორსლებლი აველი, ბორ-ლესე მხველისკან კელებე: ერთი ცრბული მანი აი, ახე გადირისე და სოღებე ირი მანი ცვერე.



4. ირი ბორბლი ღერძესე აქვი-იხი სიხი-ცი, ურმის ღერძის სერესე ურმის სერესესე ცოკთაი მერე უხი იესი. ღერეს ირთვე მადი გევე, მესე ბორბლი ჩხესე და მუთილით მუ-კარი, ღერესე ურმის მუ, ნაწილბი (უბესე) მია-მარე მუთილით.

5. თე ცანდა მესე ურმეს კოფესე ჭიხესესე მუერის ზტარი ხაქერი წინა ჭაღებესე სიხი-სა, აქ-იქ დარჩილი მხველარ ბოლოები ვი მარტკლით მუმიასირესე. აი, ურმესე მხად არის.

ბა. ჯარბილი

ფეხსაცემელი

ვერ დავეწიე სირბილში ვერც დათოს და ვერც გელსა, ხეალ დიდ ფეხსაცემელს ჩაეიკემა, მაშინ გეფასურბე ყველასა.



5. 40 / 163

6/153



ნახატი შ. ხნაძისაჲს

5. 31 / 163



„თაკვო, დაეხსენ ორმოხსა“

ქართული ხალხური ზღაპრიდან
«რწყილი ღა კიანკველა»

ყდის მხატვრობა გუგუნიძე **პლ. გიგოლაშვილი**

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიაშვილი, მ. აყვალა შრეგლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სინარულაძე, ნ. უნაფოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) **გამომცემის ოცდაამთხართმეხვი წელი** **წიანი 2 მან.**

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ

Д И А — ежемесячный детский журнал ЦК АКСМ Грузии и Республиканского совета организации пионер юных пионеров им. В. И. Ленина № 8, август 1958 г. Тбилиси, Пресс. Пабхალია 91.

საბლიტბანი, რედაქციის მისამართი: თბილისი, პლანეტის ქოხსა, 91, ტელ. 3-37-28. გამოცემა, შუკე, № 297, სკაჲმის შუკე, № 1270 ტბრეკი 150000 მან 009845 **ხილოწურილია დასაბეჲვად 27/VII 1958 წ.** **გურნალი დაბეჲვლია ლილოწუხტბრ ჲეჲღეჲს გბრეკი**